

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის სხდომის

ოქმი #9

2020 წლის 29 სექტემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 21.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე სემესტრში სასწავლო პროცესის ორგანიზების წესის შესახებ;
2. პროგრამული ცვლილებები;
3. ეროვნულ პრემიაზე კანდიდატურის წარდგენა;
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - მიმდინარე სემესტრში სასწავლო პროცესის ორგანიზების წესის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. დადგენილების პროექტი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რადგან სამინისტროს გადაწყვეტილებით იგეგმება სწავლის აუდიტორიებში გაგრძელება, კარგი იქნება თუ დოკუმენტში დაფიქსირდება, რომ აღნიშნული წესი მხოლოდ ამ სემესტრს და/ან პანდემიის დროს ეხება და ჩაიწერება შემდეგი ფორმულირებით: „ლექციები ჩატარდეს აუდიტორიაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ...“. გაიმართა სჯა-ბაასი. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ო.მუკბანიანმა, ა.შენგელაიამ, ნ.კოტრიკაძემ, მ.ხაჩიძემ, ნ.ელიზბარაშვილმა. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდა აირჩიონ ონლაინ რეჟიმში სწავლების რეჟიმი. თუმცა, პროფესორმა თ.ლეჟავამ მოუწოდა დამსწრეებს სიფრთხილისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვისკენ, სანამ პანდემიის საშიშროება არის. საბოლოო მსჯელობით გადაწყვიტეს, რომ ეს დოკუმენტი დაამტკიცონ მას შემდეგ, რაც სამინისტრო მიიღებს განახლებულ რეგულაციებს ამ კუთხით.

დაადგინეს: დოკუმენტის მიღება გადაიდოს.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ქიმიის, მათემატიკის საბაკალავრო პროგრამებსა და ფუნდამენტური ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ცვლილებები (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა რ.ხომერიკმა და ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებები (იხ. დანართი 2).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 1):

1. საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“;
2. საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკა“;
3. სამაგისტრო პროგრამა „ფუნდამენტური ფიზიკა“.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – ეროვნულ პრემიაზე კანდიდატურის წარდგენა. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ ეროვნულ პრემიაზე გათვალისწინებული იყო ბატონი ა.შენგელაიას წარდგენა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მას ფიზიკის ინსტიტუტიდან წარადგინენ. შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, სხვა ვინმეს ხომ არ სურდა ნაშრომთა ციკლის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენა.

ნაშრომთა ციკლის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის სურვილი გამოთქვა პროფესორმა თ.კერესელიძემ.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ა.შენგელაიამ. იგი დაინტერესდა, თუ რა თემას ეძღვნება ნაშრომთა ციკლი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა პროფესორ თ.კერესელიძის ასტროფიზიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომთა ციკლის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო შუამდგომლობას უწევს პროფესორ თ.კერესელიძის ასტროფიზიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომთა ციკლი წარადგინოს სახელმწიფო პრემიაზე.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები.

ა) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ გ.ღვედაშვილის წერილი. მან ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დოქტორანტ გიგა გაბრიადის დისერტაციის „PEEC მოდელის გაუმჯობესება სამკუთხედებით წარმოდგენილი ზედაპირების ავტომატური დანაწევრებით“ რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურები (იხ. დანართი 3.1).

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო საკითხი ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. ფიზიკის მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებით (იხ. დანართი 3.2) აკადემიკოს ნოდარ

ცინცამის გარდაცვალების გამო, დოქტორანტ გრიგოლ ფერაძის მეორე ხელმძღვანელად დაინიშნა პროფ. ნანა შათაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხებს.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს დოქტორანტ გიგა გაბრიაძის დისერტაციის „PEEC მოდელის გაუმჯობესება სამკუთხედებით წარმოდგენილი ზედაპირების ავტომატური დანაწევრებით“ რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები შემდეგი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

1. ალბერტ რუელი - მისური როლას მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტის (Missouri University of Science and Technology, Rolla, USA) პროფესორი, IBM Research –ის ემირატუსი, აკადემიური დოქტორი;
2. ფრიდონ შუბითიძე - დორტმუნდის კოლეჯის (Thayer School of Engineering, Dartmouth College, Hanover, USA) პროფესორი, აკადემიური დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები:

1. დავით კაკულია - თსუ ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი;
2. ცისანა გავაშელი - თსუ ასისტენტ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი;
3. ლევან შოშიაშვილი - თსუ ასისტენტ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი;
4. ლევ გეონჯიანი - თსუ ასისტენტ პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი;
5. ზურაბ შერმადინი - თსუ ასისტენტ პროფესორი, ფიზიკის დოქტორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი;
6. რევაზ ზარიძე - თსუ ემერიტუს პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;
7. გურამ ჩიხლაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი.


ბ) აკადემიკოს ნოდარ ცინცამის გარდაცვალების გამო, ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გრიგოლ ფერაძის მეორე ხელმძღვანელად დამტკიცდეს პროფ. ნანა შათაშვილი.

გ) პროფესორმა დ.ძიძიგურმა აღნიშნა, კარგი იქნება, თუ სპეციალური კომისია ან დეკანი თავის თავზე აიღებს და გაარკვევს აკადემიური პერსონალის მიერ სამინისტროში გაგზავნილ, მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ წერილზე რეაგირების საკითხს. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს შესთავაზა კომისიის შედგენა, რომელიც შეისწავლის, თუ რა რეაგირება მოყვა ფაკულტეტიდან გაგზავნილ წერილს. პროფესორმა ნ.კოტრიკაძემ გამოთქვა აზრი და მას სხვებიც დაეთანხმნენ, რომ დარჩენილიყო კომისიის ძველი შემადგენლობა: პროფესორები დ.ძიძიგური, ნ.შათაშვილი, ბ.თუთბერიძე, ო.მუკბანიაძე,

ნ.ელიზბარაშვილი, თ.ჭელიძე (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) და
ვ.ტრაპაიძე (დეკანის მოადგილე).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი



Handwritten signature and name: თ. დავითაშვილი